ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 4-4/983-18

"24" 05 2018 წ.

დადგენილება №000089
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

24.05.2018წ. ქ. თბილისი, შარტავას 7

მე, სამსახურის უფროსის მოადგილემ მამუკა ჯაფელმა განვიხილე 2018 წლის 23 მაისის №000089 შემოწმების აქტი "სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ", შედგენილი ე.ს. ამხანაგობა **"მცხეთის II შესახვევი №5"-ის** (საიდენტიფიკაციო კოდი №205296455, თავმჯდომარე ნოდარი ბრეგვაძე (პირადი №01030053386), მის: ქ. თბილისი, მცხეთის II შესახვევი №5, მცხეთის გასასვლელი №15, საკ. კოდი №01.14.11.041.028) მიმართ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, მცხეთის II შესახვევი №5, მცხეთის გასასვლელი №15, საკ. კოდი №01.14.11.041.028-ში ე.ს. ამხანაგობა "მცხეთის II შესახვევი №5"-ის მიერ განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №3102942 AR1475007 17.02.2017წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით: ფასადი „6-1": +0.05 ნიშნულზე „4-2" მონაკვეთში გაუქმებულია ვიტრაჟები. +23.30 ნიშნულზე „4-4" ღერძის მიმდებარედ გაუქმებულია ვიტრაჟი და საკომუნიკაციო შახტა მონაცვლებულია კედლის შიგნით. +27.00 ნიშნულზე „4-3" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ორი კარი. ფასადი „H-A": -0.57 ნიშნულზე „H-B" მონაკვეთში შეცვლილია გამაგრების კედლის ფორმა და გაბარიტი. +27.00 ნიშნულზე „E-E" ღერძის მიმდებარედ მარცხნივ ფასადზე გამოსულია ფილის ნაშვერი. +23.70 ნიშნულზე „H-G" მონაკვეთში ვიტრაჟში დამატებულია კარი. ფასადი „1-6": +16.50 ნიშნულზე, აივანზე „1-2" მონაკვეთში კაპიტალური მოაჯირის ნაცვლად მოწყობილია ლითონის მოაჯირი. ფასადი „A-H": +13.20 ნიშნულიდან +23.70 ნიშნულის ჩათვლით ფასადზე დამატებულია სადრენაჟო მილები. -3.35 ნიშნულზე „A-A" ღერძის გარეთ „2-2" ღერძის მიმდებარედ შეცვლილია კედლის ფორმა, „3-2" მონაკვეთში გაზრდილია დახურული ფართის გაბარიტი რის ხარჯზეც „A-A" ღერძზე „2-1" მონაკვეთში შემცირებულია ავტოფარეხში შესასვლელის გაბარიტი. „1-2" მონაკვეთში „F-F" ღერძის მიმდებარედ და „D-D" და „3-3" ღერძების გადაკვეთის მიმდებარედ კიბის პირველ მარშს გაზრდილი აქვს საფეხურების რაოდენობა. -2.18 ნიშნულზე „A-A" ღერძის გარეთ „1-1" ღერძის მიმდებარედ გაზრდილია შემპ ვანდუსისთვის

გათვალისწინებული ადგილი და შემცირებულია გამწვანების კაპიტალური საყვავილის გაბარიტი და შეცვლილია ფორმა. -0.57 ნიშნულზე „A-A" ღერძის გარეთ „3-1" მონაკვეთში შემცირებულია ბაქნის სიგრძე. -0.55 ნიშნულზე „D-C" და „5-4" მონაკვეთების გადაკვეთაზე სართულშუა გადახურვის ფილაში დამატებით მოწყობილია ღიობი და სართულზე დამატებულია საკომუნიკაციო ღიობები. „F-F" და „1-1" ღერძების გადაკვეთასთან მონოლითურ კედელში დამატებით მოწყობილია კარის ღიობი. „F-H" მონაკვეთში „1-1" ღერძზე გასქელებულია კედელი. „A-A" ღერძის გარეთ „5-4" მონაკვეთში გაზრდილია ვიტრაჟის ღიობის სიმაღლე. „A-A" და „6-6" ღერძების გადაკვეთასთან შეცვლილია მონოლითური ფილის ფორმა და შემცირებულია გაბარიტი. „1-1" ღერძის გარეთ „B-B" ღერძზე შეცვლილია გამაგრების კედლის გაბარიტი და ფორმა. ასევე მიმდებარედ გამწვანებისთვის განკუთვნილ ტერიტორიის ნაწილზე მოწყობილია ბეტონის საფარი. -0.55, +2.25 და +5.05 ნიშნულებზე „1-6" და „G-H" მონაკვეთების გადაკვეთაზე გასქელებულია მონოლითური კედლები. +3.30 ნიშნულზე „1-2" მონაკვეთში „F-F" ღერძის მიმდებარედ და „D-D" და „3-3" ღერძების გადაკვეთის მიმდებარედ კიბის პირველ მარშს გაზრდილი აქვს პირველი სამი საფეხურის გაბარიტი. „H-H" და „3-3" ღერძების გადაკვეთასთან ლითონის მოაჯირის ნაცვლად მოწყობილია კაპიტალკური კედელი. +23.10 ნიშნულზე „D-C" და „4-3" მონაკვეთების გადაკვეთაზე შემცირებულია ლიფტის შახტის სიმაღლე და მიმდებარედ სართულშუა გადახურვის ფილაში კიბის ბაქანთან დამატებით მოწყობილია ღიობი. +26.40 ნიშნულზე „E-A" და „3-6" მონაკვეთების გადაკვეთაზე შეცვლილია კიბის უჯრედის დანაშენის ფორმა, გაზრდილია გაბარიტი, ფართი, შემცირებულია სიმაღლე და შეცვლილია ტერასის გაბარიტი და ფართი. +29.85 ნიშნულზე შეცვლილია ზენიტური განათების ფანჯრის ვიზუალი. ნიშნულებზე „E-F"-„1-2"და „C-D"-„3-4" მონაკვეთების გადაკვეთაზე გაზრდილია ლიფტის შახტის და შემცირებულია ლიფტის კარის გაბარიტები. შემცირებულია კოლონების რაოდენობა და გაზრდილია ნაწილის გაბარიტები. ტერასების ნაწილს შეცვლილი აქვთ გაბარიტები. ტერასებზე გაზრდილია საკომუნიკაციო შახტების გაბარიტები და ნაწილის გადახურვის ტიპი. შემცირებულია რიგელების რაოდენობა. ნიშნულების ნაწილზე ბლოკის კედლების ნაცვლად მოწყობილია მონოლითური კედლები. გარეპერიმეტრის კედლების ნაწილი გასქელებულია. შემცირებულია ნაწილი ალუმინის ვიტრაჟების სიგანე. მინაბლოკების და კარის ღიობების ნაწილს მონაცვლებული აქვთ ადგილმდებარეობა. შეცვლილია ლითონის მოაჯირების ვიზუალური მხარე. ფასადებზე დამატებულია წყალშემკრები მილები. ფასადებზე ნაწილობრივ შეცვლილია დეკორატიული ლესვის ფიზუალური მხარე და ნაწილობრივ ფერი. აივნების და ტერასების კაპიტალურ მოაჯირებზე დამატებულია მოპირკეთება, ხოლო ფანჯრების რაფებზე თუნურის საცრემლეები.

2018 წლის 23 მაისს საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 23-ე ნაწილის "ზ" პუნქტის საფუძველზე, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №000089 "სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ." საქმეშია, მხარის №19/0118137691-17 17.05.2018წ. განცხადება; ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ე.ს. ამხანაგობა "მცხეთის II შესახვევი №5"-ის ჩადენილია საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ,

ქ. თბილისში, მცხეთის II შესახვევი №5, მცხეთის გასასვლელი №15, საკ. კოდი №01.14.11.041.028-ში ე.ს. ამხანაგობა "მცხეთის II შესახვევი №5"-ის მიერ განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №3102942 AR1475007 17.02.2017წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის "ა" პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით.

დავადგინე:

1. ე.ს. ამხანაგობა "მცხეთის II შესახვევი №5" დაჯარიმდეს 15000 (თხუთმეტიათასი) ლარით პროექტის დარღვევით IV კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის;

2. ე.ს. ამხანაგობა "მცხეთის II შესახვევი №5"-ს დაევალოს, საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში: საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე;

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, ე.ს. ამხანაგობა "მცხეთის II შესახვევი №5"-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა;

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით;

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არაუმეტეს სამჯერ;

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსის
მოადგილე მამუკა ჯაყელი



№000089 შემოწმების აქტის დანართი (დანართი სამი ფურცელი)

შენობის კლასი: IV

ფასადი „6-1”: +0.05 ნიშნულზე „4-2” მონაკვეთში გაუქმებულია ვიტრაჟები. +23.30 ნიშნულზე „4-4” ღერძის მიმდებარედ გაუქმებულია ვიტრაჟი და საკომუნიკაციო შახტა მონაცვლებულია კედლის შიგნით. +27.00 ნიშნულზე „4-3” მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ორი კარი.

ფასადი „H-A”: -0.57 ნიშნულზე „H-B” მონაკვეთში შეცვლილია გამაგრების კედლის ფორმა და გაბარიტი. +27.00 ნიშნულზე „E-E” ღერძის მიმდებარედ მარცხნივ ფასადზე გამოსულია ფილის ნაშვერი. +23.70 ნიშნულზე „H-G” მონაკვეთში ვიტრაჟში დამატებულია კარი.

ფასადი „1-6”: +16.50 ნიშნულზე, აივანზე „1-2” მონაკვეთში კაპიტალური მოაჯირის ნაცვლად მოწყობილია ლითონის მოაჯირი.

ფასადი „A-H”: +13.20 ნიშნულიდან +23.70 ნიშნულის ჩათვლით ფასადზე დამატებულია სადრენაჟო მილები.

-3.35 ნიშნულზე „A-A” ღერძის გარეთ „2-2” ღერძის მიმდებარედ შეცვლილია კედლის ფორმა, „3-2” მონაკვეთში გაზრდილია დახურული ფართის გაბარიტი რის ხარჯზეც „A-A” ღერძზე „2-1” მონაკვეთში შემცირებულია ავტოფარეხში შესასვლელის გაბარიტი. „1-2” მონაკვეთში „F-F” ღერძის მიმდებარედ და „D-D” და „3-3” ღერძების გადაკვეთის მიმდებარედ კიბის პირველ მარშს გაზრდილი აქვს საფეხურების რაოდენობა.

-2.18 ნიშნულზე „A-A” ღერძის გარეთ „1-1” ღერძის მიმდებარედ გაზრდილია შშმპ პანდუსისთვის გათვალისწინებული ადგილი და შემცირებულია გამწვანების კაპიტალური საყვავილის გაბარიტი და შეცვლილია ფორმა.

-0.57 ნიშნულზე „A-A” ღერძის გარეთ „3-1” მონაკვეთში შემცირებულია ბაქნის სიგრძე.

-0.55 ნიშნულზე „D-C" და „5-4" მონაკვეთების გადაკვეთაზე სართულშუა გადახურვის ფილაში დამატებით მოწყობილია ღიობი და სართულზე დამატებულია საკომუნიკაციო ღიობები. „F-F" და „1-1" ღერძების გადაკვეთასთან მონოლითურ კედელში დამატებით მოწყობილია კარის ღიობი. „F-H" მონაკვეთში „1-1" ღერძზე გასქელებულია კედელი. „A-A" ღერძის გარეთ „5-4" მონაკვეთში გაზრდილია ვიტრაჟის ღიობის სიმაღლე. „A-A" და „6-6" ღერძების გადაკვეთასთან შეცვლილია მონოლითური ფილის ფორმა და შემცირებულია გაბარიტი. „1-1" ღერძის გარეთ „B-B" ღერძზე შეცვლილია გამაგრების კედლის გაბარიტი და ფორმა. ასევე მიმდებარედ გამწვანებისთვის განკუთვნილ ტერიტორიის ნაწილზე მოწყობილია ბეტონის საფარი.

-0.55, +2.25 და +5.05 ნიშნულებზე „1-6" და „G-H" მონაკვეთების გადაკვეთაზე გასქელებულია მონოლითური კედლები.

+3.30 ნიშნულზე „1-2" მონაკვეთში „F-F" ღერძის მიმდებარედ და „D-D" და „3-3" ღერძების გადაკვეთის მიმდებარედ კიბის პირველ მარშს გაზრდილი აქვს პირველი სამი საფეხურის გაბარიტი. „H-H" და „3-3" ღერძების გადაკვეთასთან ლითონის მოაჯირის ნაცვლად მოწყობილია კაპიტალკური კედელი.

+23.10 ნიშნულზე „D-C" და „4-3" მონაკვეთების გადაკვეთაზე შემცირებულია ლიფტის შახტის სიმაღლე და მიმდებარედ სართულშუა გადახურვის ფილაში კიბის ბაქანთან დამატებით მოწყობილია ღიობი.

+26.40 ნიშნულზე „E-A" და „3-6" მონაკვეთების გადაკვეთაზე შეცვლილია კიბის უჯრედის დანაშენის ფორმა, გაზრდილია გაბარიტი, ფართი, შემცირებულია სიმაღლე და შეცვლილია ტერასის გაბარიტი და ფართი.

+29.85 ნიშნულზე შეცვლილია ზენიტური განათების ფანჯრის ვიზუალი.

ნიშნულებზე „E-F"-„1-2" და „C-D"-„3-4" მონაკვეთების გადაკვეთაზე გაზრდილია ლიფტის შახტის და შემცირებულია ლიფტის კარის გაბარიტები. შემცირებულია კოლონების რაოდენობა და გაზრდილია ნაწილის გაბარიტები. ტერასების ნაწილს შეცვლილი აქვთ გაბარიტები. ტერასებზე გაზრდილია საკომუნიკაციო შახტების გაბარიტები და ნაწილის გადახურვის ტიპი. შემცირებულია რიგელების რაოდენობა. ნიშნულების ნაწილზე ბლოკის კედლების ნაცვლად მოწყობილია მონოლითური კედლები. გარეპერიმეტრის

კედლების ნაწილი გასქელებულია. შემცირებულია ნაწილი ალუმინის ვიტრაჟების სიგანე. მინაბლოკების და კარის ღიობების ნაწილს მონაცვლებული აქვთ ადგილმდებარეობა. შეცვლილია ლითონის მოაჯირების ვიზუალური მხარე. ფასადებზე დამატებულია წყალშემკრები მილები. ფასადებზე ნაწილობრივ შეცვლილია დეკორატიული ლესვის ფიზუალური მხარე და ნაწილობრივ ფერი. აივნების და ტერასების კაპიტალურ მოაჯირებზე დამატებულია მოპირკეთება, ხოლო ფანჯრების რაფებზე თუნურის საცრემლეები.

მთავარი სპეციალისტი _____ /ნ. ხარებაშვილი/

დანართი ჩაიბარა (სახელი, გვარი მიღების თარიღი, ხელმოწერა)

_____

_____

საგადასახადო დავალება
Payment Order

1 GEL

ს.ს. „თიბისი ბანკი"

თარიღი / Date: 07/11/2018

გადამხდელი / sender

ამხანაგობა მცხეთის II შესახვევი N5, 205296455

გადამხდელის ანგარიში / Sender's Account: GE57TB7199336050100001

გადამხდელის ბანკი / Sender's bank: *სს თიბისი ბანკი*

ბანკის კოდი / Bank Code: *TBCBGE22*

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა
inforamtion on a person on behalf of whom the payment is made

დასახელება / Name: *ამხანაგობა მცხეთის II შესახვევი N5, 205296455*

საიდენთიფიკაციო კოდი / Sender"s Tax Code: 205296455

მიმღები / ReceIver

ხაზინის ერთიანი ანგარიში. სხვა შემოსულობები (თვითმმართველი ქალაქი თბილ

მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი Receiver's Acc. /Treasury Code: 300773263

მიმღები ბანკი / ხაზინა Receiver's Bank / Treasury: *ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური*

ბანკის კოდი / Bank Code: *TRESGE22*

გადახდის დანიშნულება / Operation Details

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო

დამატებითი ინფორმაცია / Additional information

დადგენილება N: 000089 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე

ხელმოწერები
Signatures

ბ.ა.

რეფერენსი / Ref. Num.: 2315557663

თანხა / Amount: 15,000.00 GEL

თანხა სიტყვიერად
Amount in words

თხუთმეტი ათასი ლარი 00 თეთრი

გადარიცხვის საკომისიო
Transfer Fee

10.5 GEL

ბანკში საგადახდო დავალების მიღების/წარდგენის თარიღი/Document submission/receiving date
07/11/2018

ხელმოწერა
Signature

შტამპის ადგილი

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს თიბისი ბანკის ფილიალებსა და ინტერნეტ-გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებული საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას.საგადახდო დავალების საკომისიოს დათვლის პრინციპი შეგიძლიათ იხილოთ ბანკის ინტერნეტ გვერდზე: www.tbcbank.ge

07/11/2018 12:09:49 PM

2315557663

სალაროდე ფხალობე

CASH DEPOSIT ORDER

2315557662 GEL

თიბისი ბანკი
TBC BANK

თარიღი 07/11/2018 Date

შემომტანი
Depositor: *ნოდარი გრეგვაძე,01030053386*

ასლი

მიმღები ბანკი, კოდი: *ს.ს. "თიბისი ბანკის" საბურთალოს ფილიალი, TBCBGE 22*

მიმღები
Receiver: *ამხანაგობა მცხეთის II შესახვევი N5*

Copy

თანხა სიტყვიერად,ვალუტა
Bank name, code
Amount in words,currency: *თხუთმეტი ათას ათი ლარი 50 თეთრი*

შემოტანის დანიშნულება
Description: *დამფუძნებლის შენატანი*

დებეტი Debit: 1003

კრედიტი Credit: GE57 TB71 9933 6050 1000 01

თანხა ციფრებით
Amount in figures: 15,010.50 GEL

მოლარე
Cashier

ბ.ა.

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს თიბისი ბანკის ფილიალებსა და ინტერნეტ-გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებული საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას.

07/11/2018 12:09:48 PM

სალაროდე ფხალობე